ბიულეტენი

სამეცნიერო ჟურნალის ,,ქართული პოლიტიკა,, სპეციალური გამოცემა

გრიგოლ გიორგაძე

2015 #6

სერია: ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა

ქართული პოლიტიკა
სამეცნიერო ჟურნალი

ძვირფასო მეგობრებო,

კარგი მმართველობა - ფართო საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, სწორი, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება და მისი განხორციელების უზრუნველყოფაა.

საჯარო ადმინისტრირების სფეროში, სახელმწიფო, რეგიონულ, უწყებრივ, თუ ადგილობრივი მმართველობის დონეზე გადაწყვეტილებებს საჯარო მოხელეები იღებენ და, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად აქტუალურ თემებს „წამოწევენ" განსახილველად, ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარება.

ჟურნალის სამეცნიერო რედაქცია მიესალმება და მხარს უჭერს თითოეული მოხელის მოსაზრებების, შეფასებების, დასკვნების სათანადოდ წარმოჩენას. რედაქცია, დადგენილი წესით, გამოაქვეყნებს მათი ავტორობით მომზადებულ საჯარო გამოსვლების ტექსტებს: პარლამენტის სხდომებზე; სამთავრობო ან ადგილობრივ ღონისძიებებზე; სამეცნიერო კონფერენციებზე; სემინარებზე და, რა თქმა უნდა, მათ მიერ გამოსაცემად მომზადებულ ცალკეულ სტატიებსა თუ წიგნებს.

მთავარი ამოცანაა: ნებისმიერი რანგის საჯარო მოხელის, პოლიტიკოსის არცერთი ღირებული, ინოვაციური, მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება ან მოვლენათა სიღრმისეული ანალიზი არ დარჩეს განხილვის, გასაჯაროების გარეშე, რადგან, ამან, შეიძლება სერიოზულად დააზრალოს, როგორც სახელმწიფო, ისე, საზოგადოებრივი ინტერესები.

„ქართული პოლიტიკის" რედაქცია ღიაა სათანამშრომლოდ და მოგმართავთ სახელმწიფო მოხელეებს, პოლიტიკოსებს - ნუ მოერიდებით საკუთარი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებას და გადმოაგზავნეთ სათანადოდ რედაქტირებული ნაშრომი, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: info@georgianpolitics.com.

გამოცემების ციფრული ვერსია, საჯარო სამსახურის ბიუროს დახმარებით, უსასყიდლოდ, პერსონალურად მიეწოდებათ სახელმწიფო და საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ორგანიზაციებში დასაქმებულებს, საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, მეცნიერებს, წარჩინებულ სტუდენტებს. ის, აგრეთვე, განთავსდება ჟიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლის პოლიტიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე: www.politlibrary.ge.

ამჯერად, რედაქცია, ცალკე ბროშურის სახით გამოსცემს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილის, გრიგოლ გიორგაძის ნაშრომს «საქართველოს თავშესაფრის სისტემა:საერთაშორისო ვალდებულება და სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა».

ყველამ ერთად შევუწყოთ ხელი „კარგი მმართველობის" განხორციელებას საქართველოში.

გრიგოლ გიორგაძე

საქართველოს თავშესაფრის სისტემა: საერთაშორისო ვალდებულება და სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა

გამომცემელი: ქიული შარტავას სახელმწიფო პოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა

ბატონ გრიგოლ გიორგაძის ნაშრომი - საქართველოს თავშესაფრის სისტემა: საერთაშორისო ვალდებულება და სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ზრუნვის პასუხისმგებლობა - ეხება საქართველოს თავშესაფრის სისტემას, თავშესაფრის მაძიებელთა და უკვე ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა სამართლებრივ დაცვას და ამ კუთხით კანონმდებლობის სრულყოფას, საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და მათი შესრულების გზებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შორის საერთაშორისო დაცვასა და სახელმწიფოს უსაფრთხოებას. ეს ყოველივე განხილულია საქართველოს, როგორც თავშესაფრის მაძიებელ პირთა მიმღები ქვეყნის კანონმდებლობის ფონზე.

ნაშრომის შესავალში საუბარია ,,ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“ ჟენევის 1951 წლის კონვენციასა და 1967 წლის

ოქმზე. ხასგასმულია ამ ორი ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტის უდიდეს მნიშვნელობაზე ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით. ამასთან, აღნიშნულია 1999 წელს საქართველოს 1951 წლის კონვენციასა და 1967 წლის ოქმთან მიერთებით, ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო პასუხისმგებლობა კონვენციით და ოქმით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების მიმართულებით.

ნაშრომის პირველი თავი ეხება საქართველოს თავშესაფრის საკანონმდებლო ბაზას. მოცემულია „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ 2011 წლის საქართველოს კანონის სამართლებრივი ანალიზი. დაწვრილებით არის განხილული ლტოლვილის სტატუსის მინიჭების რეგულაციები. ასევე, საუბარია ქართულ საკანონმდებლო სივრცეში ამ კანონით შემოსულ ახალ ცნებაზე - ,,ჰუმანიტარული სტატუსი“, მის მნიშვნელობასა და საკანონმდებლო რეგულაციებზე.

ნაშრომი, ასევე, ეხება 1998 წლის საქართველოს კანონს ,,ლტოლვილთა შესახებ“ და მოცემულია მოქმედ კანონთან მისი შედარებითი სამართლებრივი ანალიზი.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ 1998 წლის კანონი საჭიროებდა დახვეწას. ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯია ,,ჰუმანიტარული სტატუსის“ შემოღება. თუმცა, ნებისმიერ საკანონმდებლო აქტს აქვს ხარვეზი. დრო და ვითარება კი ითხოვს ახალი რეგულაციების შემოღებას. სწორედ ამის შედეგი იყო ,,ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების საფუძველი.

ნაშრომის მეორე თავი ეხება თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა დაცვას. საუბარია ჟენევის 1951 წლის კონვენციით განმტკიცებულ ლტოლვილთა სოციალურ-ეკონომიკურ გარანტიებსა და უფლებებზე. ნაჩვენებია როგორ არეგულირებს

ამ უფლებებს საქართველოს კანონმდებლობა კონვენციის შესაბამისად. რა თქმა უნდა, განხილულია საქართველოს კანონი ,,ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“, ასევე - საქართველოს მთავრობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები.

ნაშრომის მესამე თავი - საერთაშორისო ხელშეკრულებები და ნაკისრი ვალდებულებები - ეხება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან მიერთების შედეგად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. გამოყოფილია ევროკავშირთან ხელმოწერილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შეთანხმება, „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა“ და „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“. ნაშრომში საუბარია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს როლზე საქართველოს მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების საქმეში. განსაკუთრებით ხაზგასმულია სამინისტროს როლი მიგრაციული პროცესების მართვის კუთხით. აღნიშნულია, რომ სამინისტროს პასუხისმგებლობას შორის ,,ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს საქართველოში თავშესაფრის სისტემის განვითარებაზე ზრუნვა წარმოადგენს“.

მეოთხე თავი - საერთაშორისო დაცვა და სახელმწიფო უსაფრთხოება - ნაშრომის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგან როგორც ავტორი აღნიშნავს, საერთაშორისო დაცვა საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა აღსრულების ნაწილია.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ დღეს მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ფონზე რაოდენ მნიშვნელოვანია ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა. ავტორი მიუთითებს, რომ ლტოლვილებზე ზრუნვამ არ უნდა დაარღვიოს საკუთარი

მოქალაქეების უსაფრთხოება. ამ კუთხით განხილულია ,,ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის ის რეგულაციები, რომლებიც ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების მინიჭების დროს იცავენ ქვეყნის უსაფრთხოებას. კერძოდ, საუბარია კანონის მესამე მუხლზე, რომელიც აწესებს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძვლებს.

ამავე თავში საუბარია ჟენევის 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის პირველი პუნქტით დაწესებულ ,,Non-refoulement'' პრინციპზე, რომელიც, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია ,,ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში. თუმცა, ისევ ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამოდინარე, ჟენევის 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე შესაძლებელია უარი ითქვას ,,Non-refoulement'' პრინციპზე. სწორი მიდგომაა, როდესაც ნაშრომის ავტორი ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით ინტენსიურ თანამშრომლობას ახორციელებს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რაც განმტკიცებულია ,,ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონით.

ავტორმა პრობლემის კვლევისას დასმული ამოცანის შესრულებას შესანიშავად გაართვა თავი და ნაშრომი, მისი მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულების გათვალისწინებით, იმსახურებს დადებით შეფასებას.

ჯემალ გახოკიძე

სამართლისა და პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მილიონობით ადამიანი საკუთარი სახლ-კარისა და სამშობლოს გარეშე დარჩა. საერთაშორისო საზოგადოებამ აღიარა, რომ იძულებით გადაადგილებული ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა საერთაშორისო თანამშრომლობის გარეშე უტოპიაა და გადაწყვიტა, გადაეხედა აღნიშნული მიმართულებით არსებული მექანიზმები. პროცესმა მსოფლიო, საბოლოოდ, მიიყვანა 1951 წლის ჟენევის კონვენციასთან ლტოლვილთა შესახებ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ცივილიზებული მსოფლიოსთვის ლტოლვილები მთავარი საზრუნავი იყო. 1951 წლის კონვენცია, რომელიც ლტოლვილთა დაცვისა და მათი უფლებების განსაზღვრის მხრივ დღესაც უმთავრესი დოკუმენტია, მიზნად ისახავდა საერთაშორისო სამართლის კონსოლიდაციასა და გაფართოებას. კონვენციის მიზანი იყო, დახმარებოდა ომის შედეგად სამშობლოდან გადახვეწილ და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტულ ადამიანებს დასახლებაში და ახალი ცხოვრების დაწყებაში. იმის გათვალისწინებით, რომ კონვენცია ვრცელდებოდა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ლტოლვილებად იქცნენ 1951 წლამდე, ხოლო კონვენციის მიღების შემდეგ, მსოფლიოში ლტოლვილთა ახალი კერები გაჩნდა და სამშობლოდან გამოდევნილი პირების რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა, საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა, რომ საჭირო იყო დამატებითი მექანიზმის შემუშავება, რომელიც დაიცავდა ყველა ლტოლვილის უფლებას. საერთაშორისო დაცვის სრულყოფის მიზნით, შემუშავდა 1967 წლის ოქმი ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, რომელმაც გააფართოვა კონვენციის სამოქმედო საზღვრები და თავისი მანდატის ქვეშ მოაქცია ყველა, ვინც საერთაშორისო დაცვას საჭიროებდა, ყოველგვარი თარიღების მითითების გარეშე. საქართველო კონვენციას და ოქმს ლტოლვილთა შესახებ 1999 წელს შეუერთდა და როგორც ცივილიზებული მსოფლიოს ნაწილმა, საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფის მხრივ, თავისი წილი პასუხისმგებლობა გაიზიარა.

2013

დღევანდელ რეალობაში საერთაშორისო დაცვა ისე მნიშვნელოვანი და აქტუალურია, როგორც არასდროს ცივი ომის შემდგომ, როდესაც მსოფლიოში მრავალი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი გაღვივდა. ცივი ომის დასრულების შემდეგ მსოფლიოში საოცარი სისწრაფით განვითარდა საერთაშორისო თუ შიგა-სახელმწიფოებრივი კონფლიქტები, გაჩნდა ომის უამრავი და კიდევ უფრო მეტი - დაძაბულობის კერა, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გადაიზარდოს კონფლიქტში. მსოფლიომ საკუთარი თვალით იხილა სომალიდან თუ ნიგერიიდან, ყოფილი იუგოსლავიიდან თუ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან გამოდევნილ-გამოქცეული, სახლ-კარ დამწვარი, საკუთარი მიწა-წყალ დაკარგული და თავშესაფრის საძებნელად მავალი, სრულიად დაუცველი და მორალურად განადგურებული ხალხი. ცივილიზებულმა მსოფლიომ ათეული წლების წინ აღიარა საერთაშორისო დაცვის სასიცოცხლო მნიშვნელობა და საკითხი აქტუალობას არ კარგავს დღევანდელ რეალობაშიც. იმ რეალობაში, რომელშიც მსოფლიოს ნომერ პირველ საზრუნავს ტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენს. იმ რეალობაში, სადაც მილიონობით ადამიანი შეიარაღებული დაპირისპირებების, კონფლიქტების, ომების და ტერორისტების ქმედებების მსხვერპლია, მოწყვეტილია საკუთარ სამშობლოს, მიწა-წყალს და იძულებულია დევნილობაში იცხოვროს. იმ რეალობაში, რომელშიც შელახულია მილიონობით ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათ შორის სიცოცხლის უფლება.

ცივილიზებულ მსოფლიოს არ აქვს უფლება განზე გადგეს და გულგრილი იყოს იმ ხალხის მიმართ, რომელთა სამშობლომ ვერ გაუძლო და ბოლომდე ვერ გაუმკლავდა აგრესიას, ძალადობას თუ ტერორიზმს. ეს ხალხი, რომელთაც თავიანთი სამშობლო, დროებით, ობიექტური მიზეზების გამო, სრულყოფილი დაცვით ვერ უზრუნველყოფს, საერთაშორისო დაცვას საჭიროებს. საქართველოს, როგორც ცივილიზებული მსოფლიოს განუყრელ ნაწილს, მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ნაკისრი აქვს ამ ხალხის საერთაშორისო დაცვით უზრუნველყოფის ვალდებულება.

საქართველოს თავშესაფრის სისტემის საკანონმდებლო ბაზა

საქართველოში ლტოლვილები 1994 წლიდან გამოჩნდნენ, თუმცა 1999 წლამდე მათი რაოდენობა ერთეულებით შემოიფარგლებოდა. 1999 წელს რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკაში დაწყებული საომარი მოქმედებების გამო, საქართველოში თავშესაფრის თხოვნამ მასობრივი ხასიათი მიიღო. საქართველოს ხელისუფლებამ ჯგუფური მიდგომით სტატუსის მინიჭების (Prima Facie) პრინციპს მიმართა და 9 ათასამდე პიროვნებას ლტოლვილის სტატუსი მიანიჭა. ლტოლვილები პანკისის ხეობაში განათავსეს, სადაც მათი მონათესავე ეთნოსი - ქისტები ცხოვრობენ.

საქართველოში თავშესაფრის საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონით „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“, რომელიც 2012 წლის მარტიდან მოქმედებს. აღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე საქართველოში მოქმედებდა 1998 წლის კანონი „ლტოლვილთა შესახებ“. აღნიშნული კანონი სრულად არ შეესაბამებოდა ჟენევის 1951 წლის კონვენციას და ამიტომ

სამინისტრომ, საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, მოამზადა ახალი კანონპროექტი, რომელიც მიღებულ იქნა 2011 წლის 6 დეკემბერს და ამოქმედდა 2012 წლის მარტში.

„ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ლტოლვილის სტატუსი ენიჭება საქართველოში მყოფ უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არ მქონე პირს თუ თავისი წარმოშობის ქვეყანაში იგი იდევნება ან აქვს საფუძვლიანი შიში, რომ გახდება დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულებების გამო და არ სურს ან არ შეუძლია დაბრუნდეს წარმოშობის ქვეყანაში და ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.

2012 წლამდე მოქმედი კანონი არ ითვალისწინებდა დამატებითი დაცვის არანაირ ფორმას, რაც დიდ შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენდა, რადგან საერთაშორისო დაცვის საჭიროება, ზემოაღნიშნული ფაქტორების გარდა, შეიძლება სხვა გარემოებებმაც გამოიწვიოს. აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა ახალი კანონით „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“, სადაც დამატებითი დაცვის სახით განისაზღვრა ტერმინი „ჰუმანიტარული სტატუსი“. აღნიშნული სტატუსი ენიჭება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არ მქონე პირს, რომელიც ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს, მაგრამ იძულებული გახდა თავისი წარმოშობის ქვეყანა დაეტოვებინა ძალადობის, გარე აგრესიის, ოკუპაციის, შიგა კონფლიქტების, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის ან საზოგადოებრივი წესრიგის მნიშვნელოვანი დარღვევის გამო. ჰუმანიტარული სტატუსი ენიჭება, ასევე, იმ პირს, რომელიც, სამართლებრივი საფუძვლების, კერძოდ, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების, როგორიცაა მაგალითად ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა

დაცვის კონვენცია და სხვა ვალდებულებების შესაბამისად, არ შეიძლება იძულებით დაბრუნდეს თავისი წარმოშობის ქვეყანაში, სადაც მას დაემუქრება წამება, ღირსების შემლახავი ან არაადამიანური მოპყრობა ან სიკვდილით დასჯა.

საქართველოს თავშესაფრის სისტემის უფრო მეტად დახვეწისა და განვითარების მიზნით, სამინისტრო მუშაობს „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტზე. ცვლილებების არსებით ელემენტს წარმოადგენს დაჩქარებული პროცედურების ნორმის შემოღება და მოწყვლადი კატეგორიის ჯგუფებისთვის სპეციალური პროცედურების შემუშავება. დაჩქარებული პროცედურების ნორმა საერთაშორისო აღიარებული პრაქტიკაა და მისი გამოყენება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ცხადია, რომ თავშესაფრის მომთხოვნი პირი არ განიცდის დევნის არანაირ ფორმას, როდესაც აშკარაა, რომ არ არსებობს საფუძვლიანი შიში და აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს მოკლე ვადაში. დაჩქარებული პროცედურების ნორმის შემოღებით გაუქმდება აპლიკაციის წინასწარი განხილვის პროცედურა და აღნიშნული მიმართულებით თავშესაფრის სისტემა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისი იქნება, რასაც საქართველოსგან ევროპულ სტრუქტურებთან გაფორმებული შეთანხმებებიც ითხოვენ.

თავშესაფრის მაძიებელ პირთა, ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა დაცვა

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობითა და ერთობლივი შეთანხმებით, საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირებზე 2014 წლის 28 ნოემბრიდან გაიცემა დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობები. აღნიშნულ მოწმობას, რომლის მოქმედების ვადა 1 წელია, აქვს

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ძალა.

1951 წლის ჟენევის კონვენციაში ხაზგასმითაა აღნიშნული ლტოლვილთა სოციალურ-ეკონომიკური გარანტიები და უფლებები. ლტოლვილები საზოგადოების ისეთივე წევრები არიან, როგორც ნებისმიერი სხვა. თავიანთ სამშობლოში ისინი სწავლობდნენ, მუშაობდნენ, ვითარდებოდნენ და მათი ეს უფლება - განაგრძონ სრულყოფილი ცხოვრება, ისევეა აღიარებული და დაცული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, როგორც საზოგადოების ნებისმიერი სხვა წევრის.

კონვენციის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური გარანტიებითა და უფლებებით უზრუნველყოფას იმ პირებისთვის, რომლებიც თავშესაფარს საქართველოში მიიღებენ. „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები უფლებამოსილნი არიან საქართველოს მოქალაქეების მსგავსად ისარგებლონ განათლების უფლებით, ასევე სოციალური და სამედიცინო დახმარებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 ოქტომბრის #272-ე დადგენილებით, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა კატეგორიებში ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა დამატებით, საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვრა და გარანტირებული გახდა თავშესაფრის მქონე პირთა სამედიცინო დახმარებაზე ხელმისაწვდომობის უფლება. ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირები ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სერვისებით 2014 წლიდან სარგებლობენ. 2015 წლიდან აღნიშნული სერვისი, ასევე, ხელმისაწვდომი იქნება თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვისაც.

თავშესაფრის მაძიებელი პირებისთვის უპირველეს საზრუნავს უცხო ქვეყანაში, რა თქმა უნდა, საცხოვრებელი წარმოადგენს. ადამიანისთვის, რომელმაც მუდმივი შიშის განცდით, თავი აარიდა კონფლიქტს, ომს თუ სხვა კატასტროფას, მიატოვა საკუთარი სახლ-კარი, სამშობლო და თავის გადასარჩენად უცხო ქვეყანას მიაშურა, რა თქმა უნდა, უპირველეს საჭიროებას წარმოადგენს უსაფრთხო ჭერი მისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის. „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ კანონი საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირებს უზრუნველყოფს დროებითი განთავსებით, სპეციალურად ამ მიზნით არსებულ ცენტრში, რომელიც სოფელ მარტყოფში მდებარეობს.

საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა, ტრადიციულად, დიდი არ იყო. მაგრამ ბოლო წლებში ადამიანის უფლებების დაცვის მაღალმა ხარისხმა და ეკონომიკურმა წინსვლამ, საქართველო მეტად მიმზიდველი გახადა და საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა რაოდენობაც მკვეთრად გაიზარდა. ნაკადის ზრდის შედეგად, დღის წესრიგში დადგა მაძიებლების დროებითი განთავსების კუთხით შესაძლებლობების გაზრდის აუცილებლობა. დღესდღეობით, იმ შეცვლილი რეალობის გათვალისწინებით, როდესაც საქართველოში საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა რაოდენობა მუდმივად იზრდება, სოფელ მარტყოფში მოქმედი ცენტრი უკვე აღარ არის საკმარისი და ამიტომ, განთავსების კუთხით შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სოფელ მარტყოფში ცენტრის მეორე შენობის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.

საერთაშორისო დაცვით - უსაფრთხო თავშესაფრით, სოციალური-ეკონომიკური უფლებების დაცვით, ინტეგ-რაციის შესაძლებლობებით იმ ადამიანების უზრუნველყო-ფა, რომლებიც ამას საჭიროებენ, საქართველოს მორალური პასუხისმგებლობაა ცივილიზებული სამყაროს მიმართ. იმ სამყაროს მიმართ, რომლის განუყრელ ნაწილსაც ქვეყანა თავადაც წარმოადგენს. გარდა ამისა, თავშესაფრის

საკითხები საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ერთ-ერთი პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი მიმართულებაა და სრულყოფილი თავშესაფრის სისტემა საქართველოს ევროპული გზის წარმატებით გავლის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.

საერთაშორისო ხელშეკრულებები და ნაკისრი ვალდებულებები

საქართველოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, ასევე, ევროკავშირთან ხელმოწერილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შეთანხმების წარმატებით განხორციელების პროცესში, სადაც გაერთიანებულიაისეთიმიმართულებებიდაინსტრუმენტები, როგორიცაა „ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა“ და „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს როლი დიდი და მნიშვნელოვანია. აღნიშნული და ასევე სხვა შეთანხმებებითა და საერთაშორისო დოკუ-მენტებით, საქართველოს ნაკისრი აქვს კონკრეტული ვალდებულებები მიგრაციული პროცესების მართვის კუთხით, რომელთა შესრულებაც საკვანძო საკითხს წარ-მოადგენს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე. აღნიშნული ვალდე-ბულებების შესრულებაზე, მიმართულებების შესაბა-მისად, პასუხისმგებლები არიან სახელმწიფო უწყებები, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, რომლის პასუხისმგებლობებს მიკუთვნებული საკითხებს შორის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს საქართველოში თავშესაფრის სისტემის განვითარებაზე ზრუნვა წარმოადგენს.

საქართველომ წარმატებით დაასრულა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზა და დაიწყო მუშაობა მეორე ფაზით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. თავშესაფრის სისტემის განვითარება აღნიშნული ვალდებულებების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს როლი და პასუხისმგებლობა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე ძალიან მნიშვნელოვანია. ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, თავშესაფრის საკანონმდებლო ბაზის კონსოლიდაცია, რაც თავის მხრივ გულისხმობს იმ მარეგულირებელი აქტების მიღებას თუ დახვეწას, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება სტატუსის განსაზღვრისა და უფლებათა დაცვის სამართლიანი პროცედურების ხელმისაწვდომობა, წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების დღის წესრიგის ერთ-ერთ კომპონენტს.

საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია თავშესაფრის სისტემის განვითარების კუთხით, რასაც ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის პირველი ფაზის წარმატებით დასრულება და ევროპული სტრუქტურების შუალედური თუ წლიური ანგარიშებიც მოწმობს, თუმცა ევროპულ გზაზე სვლა გრძელდება და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, რომელიც საქართველოში თავშესაფრის საკითხებზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენს, ისევე როგორც ყველა სახელმწიფო უწყებას და მთლიანად ქვეყანას სამომავლოდ კიდევ უფრო მეტად აქტიური მუშაობა მართებს.

თავშესაფრის სისტემის დახვეწამ და იმ პოზიტიურმა მოვლენებმა, რომელიც საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში განვითარდა, მათ შორის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მაღალმა ხარისხმა და ეკონომიკური წინსვლის მაღალმა დონემ, საქართველო მიმზიდველი გახადა მათთვის, ვინც არსებული რეალობიდან გამომდინარე, როდესაც მსოფლიოში დღითიდღე მწვავდება

კონფლიქტური სიტუაცია და ჩნდება დაძაბულობის ახალი კერები, იძულებული გახდა თავშესაფარი სხვა ქვეყნებში ეძებოს. 2014 წელს საქართველოში თავშესაფარი უკვე 1600-ზე მეტმა უცხოელმა ითხოვა და ეს რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. ამ ფონზე კიდევ უფრო ნათლად ჩანს საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და თავშესაფრის სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა.

საერთაშორისო დაცვა და სახელმწიფო უსაფრთხოება

საერთაშორისო დაცვა საქართველოს ვალდებულებაა, რომელიც ქვეყანამ როგორც ცივილიზებული სამყაროს ნაწილმა, იტვირთა, დღემდე ახორციელებს და მომავალშიც აუცილებლად უნდა განახორციელოს. თუმცა უმნიშვნელოვანესია იმის გააზრება და ხაზგასმა, რომ საერთაშორისო დაცვა და თავშესაფარი უცხო ქვეყანაში საკმაოდ კომპლექსური და ძალიან ფაქიზი საკითხია, რაც ძალიან დიდ სიფრთხილესა და დაკვირვებას საჭიროებს, რადგან ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო უსაფრთხოებასთან. სახელმწიფო უსაფრთხოება, ყველა დროსა და ეპოქაში, იყო და არის უმნიშვნელოვანესი საკითხი ნებისმიერი სახელმწიფოსა და ქვეყნის დღის წესრიგში. საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვა, მათი უსაფრთხოების დაცვა და მშვიდობის უზრუნველყოფა უპირველესი პრიორიტეტია. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, მსოფლიოში არსებული მძიმე რეალობის გათვალისწინებით, როდესაც ტერორისტული აქტივობა განსაკუთრებით მაღალია, როდესაც ყოველდღიურად იძაბება ვითარება სხვადასხვა რეგიონში და ჩნდება დაძაბულობისა და კონფლიქტის ახალი კერები. იმ რეალობის გათვალისწინებით, როდესაც მილიონობით ადამიანი იძულებულია თავშესაფარი უცხო ქვეყანაში ეძებოს. იმ რეალობისა, რომელშიც ყოველდღიურად

ილახება ადამიანების უფლებები და თავისუფლებები.

ისევე როგორც მთელი ცივილიზებული მსოფლიოსთვის, საქართველოსთვისაც სახელმწიფო უსაფრთხოება უმნიშვნელოვანესია. საქართველო ყოველთვის მაქსიმუმს აკეთებს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისა და განმტკიცების პროცესში, რადგან გამოვლილი ომებისა და საკუთარ თავზე განცდილი უბედურებების შემდეგ, საქართველომ კარგად იცის მშვიდობისა და უსაფრთხოების ფასი. სახელმწიფო უსაფრთხოება, საკუთარი მოქალაქეების დაცვა და მათზე ზრუნვა უმთავრესია და საჭიროა უდიდესი სიფრთხილე და დაკვირვება, რომ ლტოლვილთა დახმარებით საფრთხის ქვეშ არ დადგეს ქვეყნის უსაფრთხოება. მაგრამ არანაკლები სიფრთხილე და დაკვირვებაა საჭირო, რომ არ მოხდეს პირიქით და სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ზრუნვამ ზიანი არ მიაყენოს იმ ხალხისთვის დახმარების აღმოჩენას, რომლებიც ამას რეალურად საჭიროებენ. სახელმწიფო უსაფრთხოება და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვა ძალიან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია და მათ შორის სწორი საზღვრის

გავლება კი ძალიან მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო.

საქართველოს კანონში „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ არის ჩადებული ის ბერკეტები, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებაზე ზრუნვის მაღალ სტანდარტს. კანონის მესამე მუხლში მკაფიოდ არის გაწერილი, რომ საქართველოში ლტოლვილის სტატუსით ვერ ისარგებლებს ის პირი, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ საფრთხეს შეუქმნის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას, საზოგადოებრივ წესრიგს და საჯარო მართლწესრიგს. ლტოლვილის სტატუსი არ მიენიჭება პირს, რომელმაც ჩაიდინა სამხედრო დანაშაული ან მშვიდობისა თუ კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული; ის პირი, რომელსაც საქართველოს ფარგლებს გარეთ ჩადენილი აქვს არაპოლიტიკური ხასიათის მძიმე დანაშაული. საქართველოს კანონი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ ადგენს როგორც თავშესაფრის საჭიროების მქონე პირების, ასევე ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელ სამართლებრივ გარანტიებს და სწორედ აქ არის თავშესაფრის

სისტემის უმნიშვნელოვანესი გზაჯვარედინი. წერტილი, სადაც ერთმანეთს კვეთს საერთაშორისო ვალდებულება - საერთაშორისო დაცვით უზრუნველყო საჭიროების მქონე პირი და უდიდესი პასუხისმგებლობა - საფრთხის ქვეშ არ დააყენო ქვეყნის სახელმწიფო უსაფრთხოება.

ჟენევის 1951 წლის კონვენციის 33-ე მუხლით დადგენილია, რომ „არცერთი ხელშემკვრელი სახელმწიფო არ გაასახლებს ან არ დააბრუნებს ლტოლვილს იმ ქვეყნის საზღვარზე, სადაც მის სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება მისი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური კუთვნილებისა თუ პოლიტიკური მრწამსის გამო“. იძულებითი დაბრუნების წინააღმდეგ გარანტიებს ადგენს ასევე საქართველოს კანონი „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“, რომელიც დაბრუნების გამორიცხვის ფაქტორებად ასევე ასახელებს გარე აგრესიას, ძალადობას, ოკუპაციას, შიგა კონფლიქტებს, ადამიანის უფლებათა და საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივ დარღვევებს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც კი, 1951 წლის კონვენცია განუხრელად იცავს სახელმწიფოს ინტერესებს უსაფრთხოების კუთხით და 33-ე მუხლშივე, მე-2 პუნქტით ადგენს, რომ ზემოთ აღნიშნული დებულება „არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ლტოლვილის მიმართ, რომელიც ანგარიშგასაწევი მიზეზების გამო სახელმწიფო უშიშროებისთვის საფრთხეს წარმოადგენს ქვეყანაში, სადაც იგი იმყოფება ან მსჯავრდებულია კანონიერ ძალაში შესული განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის და საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენს“.

ხშირად, ძალიან ძნელია დაადგინო, კონკრეტული ადამიანი არის თუ არა სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის რისკის მატარებელი. ამიტომ სამინისტრო მუდმივი კონტაქტის რეჟიმში თანამშრომლობს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რომელიც „ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ეხმარება სამინისტროს თავშესაფრის მაძიებლის პიროვნების

იდენტიფიცირებაში, ფაქტების შემოწმებაში და აწვდის ინფორმაციას კონკრეტული პირის მხრიდან ქვეყნის უსაფრთხოებისთვის პოტენციური საშიშროების შექმნის საკითხებზე, რომ საქმის განხილვისას სრულად გამოირიცხოს თუნდაც მინიმალური საფრთხის ალბათობა. ესაა პროცესი, რომელიც საჭიროებს ძალიან დიდ ყურადღებას და აუცილებელი ზომიერების განუხრელ დაცვას, რადგან იმ აქსიომის პირობებშიც კი, რომლის მიხედვითაც ქვეყნის უსაფრთხოება უპირველესი და ურყევი პასუხისმგებლობაა, არ შეიძლება შეიბღალოს იმ ადამიანების უფლება, რომლებიც საერთაშორისო დაცვას საჭიროებენ, რადგან ადამიანის

უფლებები და თავისუფლებები და განსაკუთრებით სიცოცხლის უფლება ისეთივე უპირველესი და ურყევი პასუხისმგებლობაა, როგორც სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვისა და სახელმწიფო უსაფრთხოების კომპლექსურობა და გადაჯაჭვულობა მუდმივი პროცესია. შეუძლებელია ერთი კონკრეტული აქტივობითა თუ ღონისძიებით მუდმივი შედეგის მიღება. ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო სახელმწიფო უწყებებთან ერთად წარმატებით ახერხებს ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვასა და სახელმწიფო უსაფრთხოებას შორის ზუსტი საზღვრის გავლებას და თავშესაფრის საჭიროების მქონე პირებზე ზრუნვას სახელმწიფო უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენების გარეშე და პირიქით. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, პროცესი მარადიულია და საჭიროა ყოველდღიური მუშაობა, წინსვლა და თავშესაფრის სისტემის მუდმივი განვითარება, რომ ის ზუსტი საზღვარი, რომელიც დღესაა გავლებული ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვასა და სახელმწიფო უსაფრთხოებას შორის არასდროს დაირღვეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენცია და 1967 წლის ოქმი;

2. ლტოლვილის და ჰუმანიტარული სტატუსების შესახებ საქართველოს კანონი;

3. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის #36 დადგენილება და 2013 წლის 23 ოქტომბრის #272-ე დადგენილება;

ავტორის მოკლე ბიოგრაფია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილე

გრიგოლ გიორგაძე

დაბადების თარიღი: 24 მარტი, 1979 წ.

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული.

სამუშაო გამოცდილება:

31.07.2014-დღემდე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის პირველი მოადგილე.

11.10.2012 - 22.07.2014 - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე; სამინისტროს საპარლამენტო მდივანი. პირობით ვადამდე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

2010-2012 წწ. - სასამართლო ადმინისტრირების და მენეჯმენტის პროექტის (USAID JAMR) მხარდაჭერით შექმნილი მოსამართლეებისა და ადვოკატების საკონსულტაციო ჯგუფის წევრი.

2009-2012 წწ. - შპს "ტელეიმედი" - იურიდიული სამსახურის უფროსი.

2008-2012 წწ. - შპს "ბი-დი-ჯი არბიტრაჟი" - არბიტრი.

2008-2010 წწ. - შპს "ბი-დი-ჯი ლიგალი" - პარტნიორი ადვოკატი.

2007-2008 წწ. - ადამიანთა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

2006-2008 წწ. - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გამოძიებისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი.

2006წ. - დღემდე - კავკასიის უნივერსიტეტი, კავკასიის სამართლის სკოლა - ლექტორი.

2014წ. - დღემდე - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი - ლექტორი

2006-2008 წწ. - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

2005-2006 წწ. "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი" -ადვოკატი; ტრენერი-ექსპერტი

2004-2005 წწ. - საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია ტრენერი, ექსპერტ-იურისტი.

2004 წ. - შსს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის ქვეგანყოფილების უფროსი.

2003-2005 წწ. - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი. საარჩევნო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და კონსტიტუციური სამართლის ლექტორი.

2003-2004 წწ. - მანჰეტენის იურიდიული სამსახური, სტაჟიორი. ნიუ იორკი, აშშ.

2002 წ. - იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების საზოგადოებრივი კონტროლის მუდმივმოქმედი კომისიის წევრი.

2001 წ. - "თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი" - იურისტი

2000-2004 წწ. - კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი. ადვოკატი, გამგეობის წევრი,სოციალურ საკითხთა და ანტიკორუფციული ჯგუფის ხელმძღვანელი.

2000-2002 წწ. - თბილისის 67-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი.

2000-2001წწ. - Amnesty International, თბილისის სტუდენტური ჯგუფის კოორდინატორი,ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

განათლება:

2011 წლიდან - კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საერთაშორისო სამართლის დოქტორანტი.

2003-2004 წწ. - კოლუმბიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლა. ღია საზოგადოების ინსტიტუტისა (OSI) და საზოგადოებრივი ინტერესების სამართლებრივი ინიციატივის (PILI) სტიპენდიანტი. ნიუ იორკი, აშშ.

1996-2001 წწ. - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, სპეციალობა: საერთაშორისო სამართალი.

ენები:

ინგლისური და რუსული.

კომპიუტერული ჩვევები:

MS Office.

სარედაქციო ჯგუფი

ზურაბ ჯიბლაძე	პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ანჟელა ბზიკაძე	პასუხისმგებელი რედაქტორი
ნათია ვადაჭკორია	მასმედიასთან ურთიერთობები
დალი ჯვარშეიშვილი	ტექნიკური რედაქტორი
გია არაბული	მხატვრული რედაქტორი
გიორგი ჯიბლაძე	კონსულტანტი
ირინე ბარამიძე	მხატვარ-დიზაინერი
ია გაჩეჩილაძე	კორექტორი



ჟიული შარტავა 1944 - 1993 წ.წ.

ეროვნული გმირი, წმინდა ბიოჩის ოჯოს, ვახტანგ ბოჩიასლის ჰირველი ხარისხის და სხვა ორდენების ჯავალერი, ბენერალ-მაიორი

2014 წელს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში დაფუძნდა ჟიული შარტავას სახელმწიფო ჰოლიტიკის და მართვის სადოქტორო სკოლა. ჟიული, ამავე უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი და ასპირანტი იყო. მობვილნებით, მან, აქვე დაისვა დისერტაციის მართვის ეფექტიანობის საკითხებზე.
ხელისუფლებაში ყოფნისას, ის ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა მეცნიერებთან. მისი ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფი, დაფუძნდა, ჯერ, ახალგაზრდული ჰორბლემების შემსწავლელი, ხოლო შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და ჰორგნოზირების სამეცნიერო სენტრები. მისი პატრონობით, საზელმწიფო - მართველობით საქმიანობაში ჰირველად დაინერგა სისტემური ანალიზის მეთოდი, ე.წ. „სისანი“, რომელმაც, მთლიანად შეცვალა ქვეყნის ჰერიონალური საქმიანობის შეფასების და მართვის არსებული ჰრაქტიკა.
ახალგაზრდობაზე ზრუნვა, ჟიულის სწორერების ძირითადი მიზანი იყო. მისი უზარმაზარი ძალისხმევით, შავნაბადაზე, გაშენდა „ახალგაზრდული ქალაქი“ დაფუძნდა ახალგაზრდა ჰოლიტიკოსთა თანამედროვე სასწავლებლები, სხვა სამეცნიერო და ჯელტური ინფრასტრუქტურა, რომლის მსგავსი, მაშინ, მთელ ჰოსტსაბჭოურ სივრცეში არ მოიძებნებოდა. მან, სწორერებაში განაოგრესილა დიდი ქართველი მწერლის, ნოდარ დუმბაძის ოცნება და მდინარე ვერეს მიმდებარე ტერიტორიაზე საფუძველი ჩაუყარა „მზიურის“ მშენებლობას, ხოლო, მობვილნებით, ერთადერთ მოზარდებს „აჩქარ“ უნიკალური საბავშო ჯინიბზა, რომლის გაშენება, მისი ტოტალური დევნის ჰირობებში, გმირობის ტოლფასი იყო.
მისი თანოსნობით აგებული მემორიალური ძეგლები „წითელ ხიდზე“ და „ერეში“, ქართველ - აფხაზთა და მთლიანად ჯავასიელთა მეგობრობის სიმბოლოდ იქცნენ.
ჟიული შარტავას სახელმწიფო მოღვაწეობა „ჯერბი მმართველობის“ მესანიმნავი მაგალითია, ხოლო გარდაცვალება - სამშობლოზე უსაზღვრო შეყვარებული ვაჟკაცის გმირული ნაბიჯი. მისი მონამორობივ სწორერება, ღირსეულად შეფასა მისმა უნმინდესობამ, სრულიად საქართველოს-ჯოელიოზ ჰატრიარქმა ილია მეორემ, რომელსაც განაცხადა, რომ მან - „ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მძიმე, ერთელეს ფრონტი, ისწორია ისე - თითქოს მთელ ტვირთს ღებულობდა საკუთარ თავზე“.